



№ 11 (1357) 0 3 6 0 6 0 1971

ქართველი

გამოცემის 48-ე წელი ზაფხული 20 ქანი:

E

— რათომ აფდეთ, გიშა, ამხელა მინჭორს? და-  
გვითხვეთ ჩვენ, კითხსა და პამილორს მაინც მოვ-  
უვანო!

13.71



ეროვნული  
გიგანტი



— მს გიძის რაზომ ასეამს მოვანილს წყალს?  
— ცეცხლი უკიდის, შვილო და იმიტომ!

თქვენი მოჩილი მონა —  
მე — ოპონენტი თომა,  
გავეცან მაშო შრომას.

ამ სტრიქონების ხროვას  
თქმა აღარ უნდა, რომა  
ჩევ ვერ ვუწოდებთ შრომას.

გაგრამ იხიც ხომ ვიცით,  
რომ, ბევრჯერ, ცუდად ჭდომას  
ხჯობია ცუდად შრომას.

ამა ანდაზის ძალით  
დღეს ჩევ საჭიროდ ვცანით,  
რომ დაფუძიროთ მხარი.

აქ მაშო დედამ — ვარამ  
ამოოხრა ღრმად და  
ცრემლები გადმოლვარა:

„მაშ, ქალი მქვიან მეცა?  
თუ ასე ადვილია,  
მე რაღა ჭირი მეცა?“

ლალი მარტივილი

საკონკრეტო მასალებიდან

## გაუარჯოს აღავიანობას!

**ერთხელ** პენსიაზე გასული ყოფილი მმართველი შეხვდა პენსიაზე მყოფ თავის ყოფილ თანამშრომელს. ვინაიდან ორივეს საქმაო თავისუფალი დრო ჰქონდათ, ხოლო თანამდებობრივი ბარიერები არ უზღვდავდნენ ურთიერთშორის ყოველგვარ პირობითობას მოკლებული ქონტაქტების დაყარებას, გულობილი მოყითვის შემდეგ, ერთსულოვნად გადაწყვიტეს, ეს „ისტორიული“ შეხვედრა გახლობელ სასაუზეში აღნიშნეთ.

მოგეხსენებათ, ქართველ კაცს, ისაც პენსიონერს, თუ ხელში ღვინით სავსე ჭიქა უკავია და კუჭის კატარი ან გულის მანერი არ აწესებს, სალაპარაკო მასალა არასრულს გამოელევა.

...დაიწყეს ოჯახით, სახლ-კარით. მერე მოედვნენ მთასა და ბარის. გადალახეს ზღვები, ოქეანები მიმოიხილეს კონტინენტები, შეიქრნენ პოლიტიკში, ფილოსოფიაში, მეცნიერებაში, დასძლიეს დედამიწის მიზიდულობა, გაიკრენენ კოსმოსში, დაეშენენ მთვარეზე და როდესაც ისევ სასაუზეში დაბრუნდნენ, ყოფილი თანამშრომლის გამჭრიახობით მონიბლულმა ყოფილმა მმართველმა შეაქმი იგი:

— არ მეგონა, თუ ასეთი ჭიქიანი და განსწავლული კაცი იყავი, მე სრულიად საწინააღმდეგო წარმოდგენის ვიყავი შენზე!..

— ეს იმით აიხსნება, ბატონო, — განუმარტა ყოფილმა თანამშრომელმა, — რომ მაშინ თქვენ მაღალ სკამზე შესკუპებული ბრძანდებოდით და იქიდან დამცემოდით. ხოლო ზემოდან, როგორც მოგეხსენება, ყოველივე ის, რაც ქვემოთ არის მოკეული, მეტწილად ერთ განზომილებაში მოჩანს. ამიტომ, ბუნებრივია, ამ პრიციპიდან გა-

გიჭირდებოდათ სწორი წარმოდგენა შეგქმნოდათ დაქვემდებარებული პირის ნამდვილ ფორმასა და შინააგსზე...

— ჭეშმარიტად მეცნიერული განსაზღვრება! — დაეთანხმა შეზარხომებული ყოფილი მმართველი, — ერთი ეს მითხარი, მეგობარო, წინათ რას ფიქრობდი ჩემზე და როგორი შეხელულებისა ხარ ამჟამად?!

— გულწრფელობისათვის ნუ დაძრახავთ! — შეჰქადრა ყოფილმა ყოფილს, — იმ დროს, როდესაც თქვენ ზემოდან დაყურებდით, მე ქვემოდან გიჭვრეტდით და მხოლოდ თქვენი მოდური ფეხსაცმელების ლანჩებს ვხედავთ, რომლებიც, ჩემი შეზღუდული წარმოდგენით, ყოველთვის გასრესით მემუქრებოდნენ, ამიტომ სულ იმაზე ვფიქრობდი, როგორ ამეცინა თავიდან ეს საშიშროება... ცხადია, ასეთ ვითარებაზი, დრო აღარ მჩხებოდა დაფიქრებულიყავი თქვენს გონებრივ ღირსებებზე. თანაც ბრძანდ მწამდა, რომ უფროსებად მხოლოდ ჭებიანსა და ღირსეულ აღამიანებს ნიშნავე... ახლა კი პირადთ დავაწერ ბრძანებულხართ!

— ე, ეს! უბედურება იმაშია, — ფილოსოფიურად ამოიხრა ყოფილმა მმართველმა, რომელიც ოცდაათიან წლებში გამოშვებული იაფი კედლის საათის ქანქარასავით იჩეოდა, — ჩევნ ყველაფერს მაშინ ალვიქვამთ ხოლმე სწორად, როდესაც ამას არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა აღარ გააჩნია... გულახდილად უნდა გითხარი, ახლა ძალიან ვნანობ, ჩემი ციგანი ცოლისძმის ულისთვის რომ საპენსიო ასაკის მიღწევამდე მოგიცილე თავიდან, — ვამოუტიდა ყოფილი მმართველი თანამოსუფრეს.

— ნუ დაიღარდებთ, ბატონო! — დაამშვიდა იგი ყოფილმა თანამშრომელმა. — არც მე დაგრჩით ვალში!...

— როგორი?

— როგორ და, მმართველის თანამდებობიან თქვენს ჩამოყენებაში მეცე მიმიღლევის გარკვეული წვლილი, — მოკრძალებით იყისრა გულაჩეუებულმა ყოფილმა თანამშრომელმა.

— შენი ოჯახი ააშენა ღმერთმა! — დაიგმინა ყოფილმა მმართველმა, რომელმაც თანამდებობის დაკორგვა მშობელი დედის დაკარგვაზე უფრო მეტად განიცადა, — იქ რომ დავრჩენილიყავი, დღესაც არ მექნებოდა დაცული დასკრტაცია... ბრძოლად უთქვამთ ჩევნ წინაპრებს, ზოგი ჭირი მარგებელია.

— ზოგი სარგებელი კი ჭირიანი! — დაუმატა ყოფილმა თანამშრომელმა. — ჩემი თავიდან მოცილება რომ არ დაგეხქარებიათ და საკუთარი ცოლისძმის მოწყობა, აღბათ, კიდევ კარგა ნანს მოგვიწევდა ერთად მოღვწეობა...

— რაც მოხდა, მოხდა! ძველს ნულარ მოვიგონებთ! — თქვა გულდათუთქულმა „მმართველმა“, — მთავარი მაინც აღამიანობა! — მწარედ დასკვნა მან.

— მაშ, გაუმარჯოს ადამიანობას! — უეგება საღლეგრძელო ყოფილმა თანამშრომელმა.

ყოფილებმა ჭიქები დასცალეს, ერთმანეთი გადაკერცნეს და, ხელისელჩაკიდებუნლი, ბარბაცით გმოვიდნენ სასაუზემან...

მათ დანახვაზე იქვე მიმავალმა სანტიმენტალურად განწყობილმა შინაბერდიან მანდილოსანმა თავისთვის ჩაიღია... ძველი მეგონი მარგობრობა არასრული იყონგება.

გიგი გრიგორია

# გზის გასაყარზე

ჩემს ოჯახში აურჩაურია. მისი მიზეზი სრულიად უბრალო გახლავთ: რამდენიმე თვეში ვამთავრებ საშუალო სკოლას და „ჩემი მომავლის ბედი უნდა გადაწყვეტილი იყო!“

ჩემი ვალია, მოვუსმინ და უსიტყვოდ დავეთანებო ყველა იმ გადაწყვეტილებას, რასაც ჩენი იჯახის საშეული — ბებია; დედა და მამა დაადგენს.

ბებია თავისებური ქალია: თუ სახლში ვინმე ავად გახდა, იგი ხედავს, რომ ექიმი ყველა მოსკოლის ფულს იღებს. მას ვაშინვე ექიმის პროფესია მოსკოლის და გაუთავებლად ჩამჩინებს: ექიმი გამოდიო. მაგრამ, საკმარისია, ბებიამ რომელიმე საგამომძიებლო ორგანოს მუშაკზე გაიგოს — კაცის გათავისუფლებისათვის დიდი თანხა აიღო, რომ მაშინვე იურისტი ვხდები...

ბებია არც მშენებელი ინჟინერზე აებობს უარს. სჯერა, რომ თუ მშენებელი ინჟინერი გამოვალ, ჩემს მიერ აშენებული ყველა ბინა ჩემი საკუთრება იქნება.

ჩემს მომავალზე დედა სხვანაირად ზრუნავს: კვირა არ გავა, რომ ჩენს სახლში ფიზიულტურის მასწავლებლისათვის ვახშამი არ მოეწყოს...

— ცხოვრება ახლა სპორტშია. დროება მათოვის არის, ქვეყანას ეგენი უვლიან, ინსტიტუტში უგამოცდო ეწყობიან, ამთავრებენ და თუ საიმე შემოსავლიანი აღგილია, მაგათა!

საღლეგრძელო იმით მთავრდება, რომ მე თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა ან კალათბურთელთა გუნდის წევრი ვხდები.

დედას სიხარულისაგან ცრემლები ცვივა, მამას მაგიდაზე ძინავს, ბებიას კი ხელუბი აღუპყრია და ღმერთს ივედრება: ღმერთი, გვიცოცხლ კეთილი ადამიანებიო.

მასწავლებელი წასკლის წინ მიბარებს: ხვალ მომავრენ, პირველთან ჩირგოსნის საბუთი უნდა მოგცე.

მეორე დღეს ან დირექტორია ავად, ან სპორტული კავშირის თავმჯდომარეა დიდი ხნით მივლინებაში წასული.

დედის მოწოდებას მამა იზიარებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშავს, რომ მას საკუთარი აზრი არ ჰქონდეს ცხოვრებაზე. და-

ლიან აინტერესებს, რომ მანქანათმშენებლობის ფაქტურულ დავამთავრო. მისი აზრით, ამ სპეციალობით აღვილდა ატრიბუტი პექტილში მოხვეულო.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კიდევ ერთი უბედურება მჭირს: შეყვარებული ვარ. მისი გამო ჩენს სახლში ყოველ საღამოს სასამართლო ინიშნება. მე ბრალდებული ვარ:

— ვეყუანა აირ-დაირია, — იწყებს ბებია, — ქალმა ქალობა დაკარგა და კაცმა — კაცობა. სულ ამ საზღვარგარეთული ფილმებისა და ტელევიზიის ბრალია. მათ წავინინებს ახალგაზრდობა. ეს რომ ასე არ იყოს, რა დღის ამის სიყვარულია! ამ ობრებმა აკვანშვე დარყვნეს ახალგაზრდობა...

თვითონ ბებია 14 წლისა გათხოვილა და ჩემს ასაკში სამი შეილი ჰყოლია.

— დღეს რა დააშავა? — ეკითხება მამა ბებიას.

— ცოტა იმეცადინა, გამოიპარანჭა და იმ ოხერთან წავიდა.

— მართალია ბებია? — მეკითხება დედა.

მე ფეხზე ვდგები და გამოცდილი ბრალდებულიერი ვპასუხობ: დიახ, მართალია მეორე საკითხში. გამოვიპრანებული და იასთან წავედო. რაც შეეხება მეცადინებობას, დიდხანს ვიმეცადინე.

— რა გინდოდა იასთან? — მეკითხება მამა.

— ლექსი დავუწერ და წაუკითხე.

— ამას ლაპარაკობ ჩემთან ასე უსირცხვილოდ და თავზე-ხელალებულად? — ტონს უწევს მამა.

— მე სასირცხვილოს არაფერს ვაკეთებ!

მამა მაგილაზე რაღაცას ხელს ავლებს... „ოხ, შენიო“, მეუბნება და ჩემზე იწევს. — არ დაგინახო მაგ მშივრების ოჯაშში!

— ნამდვილად იას დედამ გადო აჭამა, — ლოყებს იხოკავს ბებია და მკითხავთან მიღის...

შე არ ვიცი, რას ეუბნება ბებიას მკითხავი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ჩევენი სახლის წინ, ერთ შშენიერ დღეს, სასწრავო დახმარების მანქანა გაჩერდება, როცა სახლში გაიგებენ, რომ მე და ია თეატრალურ ინსტიტუტში წავედით გამოცდების ჩასაბარებლად.

აიდეილ ზაფთოზვილი

ნახ. გ. ლომიძისა

## კ რ ე ვ ა ნ ი

დაწესებულების ხელმძღვანელს ვაკანტურ თანამდებობაზე თრი კანდიდატურა შესთავაზეს.

— ზედმინიჭენით შრომისმოყვარება, — უთხრეს პირველზე, — ერთ წუთს ვერ ნახავთ უმშადმყოფს; დროს ყოველთვის რაციონალურად იყენებს.

— ბრწყინვალე ორგანიზატორია, დავალება ყოველ-თვის გულთან მიაქვს და მთელ თავის შესაძლებლობებს აქსოვს მის შესრულებას.

— თაბირებზე და კრებბზე ყოველთვის კონკრეტული, საქმიანი წინადაღებით გამოდის.

— ამასთან, პრინციპული და შეუპოვარია — ავტორიტეტების მონურად არ ემორჩილება, არავის და არაფრის წინაშე არ დასევს უკან, თუკი ეს შეეხება დაწესებულების, კოლეგიტივის ინტერესებს.

— უმწივევლო და გელწრფელია, ამხანაგებისა და თანამშრომლებისადმი ყურადღებიანი, გულისხმიერი და ტაქტიკიანი.

— საქმე მაინც და მაინც არ იზიდავს, — დაუხასიათეს მეორე, — შეეძლია, მთელი დღე ისე დააღამოს, რომ თითზე გადასჭვევი არაფრი შექმნას.

— სამაგიეროდ თავი შესანიშნავად უჭირავს, სხვებზე უფროსობს და თავის წილ საქმესაც თანამშრომლებს აკეთებინებს.

— საკუთარი აზრი არ გააჩნია. რაც შეეხება უფროსებს, მათ შეხედულებებს ყოველთვის იზიარებს და საჭიროების შემთხვევაში კიდევაც მლიქენელობს.

— ამპარტავანია, თანამშრომლებთან ურთიერთობაში უხეში და არაკოლეგიალური.

— უყვარს ძმაკაცობა და ღროვანტარება. გაშლილ სუფ-

რასთან გულლიაა, მღვრის, ცვეგავს, ხუმრობს. დაწესებულების ბერები შეაჩნია. — პრაქტიკული კაციანს, — გაიფირა მან, — ყოველ შემთხვევაში საქმისთვის ასე აჯობებს!

ოთარ საციფროლი



— ერ გაგიავირდეთ, ეკლესია! ნამდვილი კრიტიკა გვიზრიდა, მს კრიტიკას დროში გვიმარტინოდა.



# გაკავულებელი ჰიპიკო ხეანემარაშვილი

ჩვენს რაიონში არც ერთი წევულება არ გაიმართებოდა, რომ ჭიჭიკო ხეანემარაძე თამადად არ მიეწვიათ.

ის იყო ნამდვილი თამადა (ამ სიტყვის ფართო მაშტაბით.) თამადა-დიქტატორი, მრისხანე მბრძანებელი, რომლის სიტყვა კანონია!

ჩაუდგებოდა თუ არა სუფრას სათავეში, მაშინვე აირჩივდა რამდენიმე თანაშემწეს. მათ თვალ-ყური უნდა ედეგნებინათ სტუმრებისათვის. თუ რომელიმე სტუმართაგანი სადღეგრძელოს არ შესვამდა, თანაშემწეს სასწრაფოდ უნდა მოეხსენებინა თამადისათვის.

— ჩაასხით საყელოში ერთი ჩაის ჭიქა ღვინო, ხოლო მეორე ჭიქა შეასხით ცხვირ-პირში! — ბრძანებდა ჭიჭიკო ხეანემარაძე.

— არის შევასხა ცხვირ-პირში! — უპატაკებდა თანაშემწეს.

25 წელი თამადობდა ჭიჭიკო სუფრას. მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული ჭიჭიკო წევულება ბრძოლის ველს მოგაგონებდათ.

გასულ წელს ჩვენს უბანში მცხოვრებმა პორფილე ჭულუხიძემ ცოლი შეირთო. ქორწილში დიდალი ნაცნობ-მეგობრები მოიწვია. იქნებ გაჩინდა მრისხანე თამადა ჭიჭიკო ხეანემარაძე...

— უჲ, როგორ გამახარე, ძვირფასო ჭიჭიკო! — შეეგება მას მასპინძელი. — აბა, შენ იცი, როგორ უცხომძღვანელებ დღვანდელ ზეიმს!

— არხეინად იყავით, — დააიმედა ჭიჭიკომ, — ღვინოში ისე ვაჭყუმბალაგებ ყველას, როგორც შავ ზღვაში.

გაიშალა სუფრა.

ჭიჭიკო ხეანემარაძე წარმოთქამდა მგზნებარე სადღეგრძელოებს.

ორმოცდაათი სტუმრიდან მხოლოდ ორ-სამ კაცს ჩაასხეს ღვინო საყელოში, ხოლო ერთს პირდაპირ ცხვირ-პირში შეასხეს. ამის შედეგად დამყარდა მყარი დისციპლინა, ვერავინ ბედავდა ღვინის დალევაზე უარის თქმას. სეამდნენ ჩაის ჭიჭიბით, ყანწებით, ლამპის შუშებით, ქოთნებით...

თამადა ბრძანებდა, მრისხანებდა, იმუქრებოდა...

— ამ ქოთნით კიდევ და კიდევ გაუმარჯოს ნეფე-დედოფალს!.. ვინც ბოლომდე არ გამოცლის, შეასხით ცხვირ-პირში! — ყვიროდა თამადა-დიქტატორი. როცა თამადამ მორიგი სადღეგრძელო წარმოთქა, უცებ... თხლაშ! და ცხვირ-პირში მძლავრად შეეჯახა ყინვასავით ცივი რაღაც სითხე. თამადამ კარგა ხანს თვალი ვერ გაახილა, მოულონელობისაგან დარეტიანებული იდგა. ულვაშებიდან, წარბებიდან, ნიკაბიდან წევთ-წევთად ჩამოსდიოდა მყრალი სითხე... როცა თვალის გახელა შესძლო, უცრად... თხლაშ!.. და უფრო მძლავრად გამოსროლილი მყრალი სითხე კვლავ ცხვირ-პირში შეესხა.

აუტყდა ცხვირის ცემინება. კვლავ დარეტიანდა და ცხვირის ცემინებით დაჯდა (ბოდიში, კი არ დაჯდა, ვიღაცამ სკამი გამოაცალა და თავმომწონე თამადა იატკაზე დაეტერქა).

შეთქმულება ისე კარგად პერნდათ გააზრებულო ახალგაზრდებს, რომ ვერავინ შენიშნა, რომელი კუთხიდან შეასხეს ჭიჭიკო ხეანემარაძეს მყრალი სითხე ცხვირ-პირში, ან როგორ გამოაცალეს სკამი (როგორც გამოირკვა, ის მყრალი სითხე დამპალი ძმარი ყოფილა).

შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილე ახალგაზრდა განზრას ყვიროდა: „ეს როგორ შეიძლება! რას ჰერავს ეს! ცოდვაა თამადა! მგონი, მოკვდა! არიქა, ვუშველოთ! წყალი, წყალი!“ — თან თავზე მყრალ სითხეს, ე. ი. ძმარს ასხმდა იატკაზე გაშხლართულ თამადას.

როგორც იქნა, წამობობდა გაპამულებული ჭიჭიკო ხეანემარაძე, წელში, ოთხადმოკაცული, თავით შეეჯახა კარებს, დაგორდა კიბეშე და ბარბაცით გავარდა ქუჩაში...

მას აქე მთელი ერთი წელი გავიდა, მაგრამ დამპალი ძმრის სუნი ახლაც ცხვირ-პირიდან ამოსდის.

სამუდამოდ დაანება თავი თამადობას, ან ვინდა მიიწვევდა ასე გაპაპულებულ და თავლაფდასხმულს. მთელმა რაიონმა იცოდა მისი გაუცურაების აბავი. იცინოდნენ და ხარხარებდნენ....

მას შემდეგ ჩვენს რაიონში ქორწილი ან სხვა რომელიმე ხასიათის წევულება ტარდება კულტურულად, დარბაისლურად, როგორც ეს შეფერება ნამდვილ ქართულ სუფრას.

ჭიჭიკოს კი გვარი შეუცვალეს — ხეანემარაძის მაგივრად მყრალმა-რაძე შეარქევს...

გეორგი ხალგარიანი



— სამსახურში რომ იყარავ, სეფრაზე ვერ ისრავლე ღვინის მოკარვა?



— რა მონაცემებით დაქინერეს პირილე? განათლება მაგას ერა ეკვს და სამცილობა არ უჩირბა!

— საღამი იცის კარზი.

საკონკურსო მასალებიდან

## გინიათურა

აგთობუსი საუბრობენ მანდილოსნები:

— პირდაპირ აუტანელია, ჩემთ ითველია! ეს გული რომ შემტკიცა, იმიტომ ვამბობ...

— ვი პრაგი, კარმენ! ნამდვილად რომ აუტანელია! მერე და, როგორ მეტყველებენ?

კახელი კახურად უცცეს, იმერელი — იმერულად. პრედსტავლიაუშე? ზოგი გაღმიატანეს იძანის, ზოგი წევედის... არა რცხვენით მინც?


— პარდონ! სხვა რომ არა იყოს რა, ვენაც ბავშვები გაფუჭდებიან, თუ ასე ტეტი-ური ლაპარაკი ხშირად გაიგონეს.

— კანეჩინო, კანეჩინო! თუმცა ჩვენ რა უნდა გავითუჭდეს, რაც არა გვყავს, მაგრამ სხვებისთვისაც ნეკრიატნისტ.

— იცი რა, მილოჩეა? სწორედ ამ ღიალექტებით ირყვნება ენა... ქართულს გვიმაზინჯებე!

— და, და, სწორედ ეს მყლავს გულს. მერე და, რა მშვენიერი ენა გვაძვს, რა შესანიშნავი, რა მდიდარი!

გინიათურა სვანეა



— ხეთას მანათს მოგვამო, მხოლოდ სიკელის გადამარტინი!  
— ვერ შეგაირდები, ძმარ, მე მექრთამ არა ვარ!



დვინოზი ჩახრჩაბა

### საკონკურსო მასალებიდან

## რ ე ბ ტ ბ ა ბ ი ს ს უ რ ა თ ი

— გთხოვთ, მომცეთ ჩემი ღვიძლის სურათი, რომელიც გუშინწინ გადამიღეთ!

— არა გრცევენათ, მარტო ამისთვის მოხველით? — ზიზღით შეხედა შემოსულ ექთანდა.

— რახან მაგდენი შეგნება არა აქვს, მოუძებნე და მოუცი! — უთხრა ექიმმა ექთანას.

— მომკლა ამ ძენამ, ექთინი გარ თუ არქეოლოგი, ბოლოს და ბოლოს! რომელია, ქალო, აქ შენი ღვიძლი?

— რა ვიცი, მე ვერ ვცნობ!

— შენს ღვიძლს შეწვერ ცნობ და მე უნდა ვიცნო, არა?.. ინებეთ თქვენი ღვიძლი, მოქალაქე შალამბერიძე!

— ბოლიში, მაგრამ მე შალამბერიძე არ გახლავართ!

— რა გეწყინა, შე ქალო, გმირი იყო შალამბერიძე...

— ერთი ეგ რა გვარია, ეგ რა-გვარია... — მრავალმნიშვნელოვნად გადახედა ექიმმა ექთანს.

— ჭიაბრიშვილი გახლავართ!

— ჭიაბრიშვილი, ჭიაბრიშვილი... ინებეთ თქვენი ღვიძლი, მოქალაქე პააშვილო!

— ბოლიში, მაგრამ მე გარკვევით გითხარით, რომ პააშვილი არ გახლავართ!

— თქვენ ეგ არ გითქვამთ, თქვენ მხოლოდ ისა თქვით, რომ შალამბერიძე არ ხართ... არ ხართ, ნუ ხართ, ვინ გაძალებთ! ინებეთ, მოქალაქე ზარიძეებ!

— მე ზარიძე არა ვარ! — — დაიუნია ავადმყოფა.

— აბა, მეტი ღვიძლი აღარა აქ! — ხელები დაიბანა ექთანდა.

— კი მაგრამ, ჩემი ღვიძლი რა იქნა?

— ღვიძლი ღვიძლია, ქალო! ჩემი-შენი რას მიქვია! — გაბრაზდა ექიმი.

— ეს აიღოთ, არ ინანგეთ, კაუივით ღვიძლია! — გაუწოდა ექთანდა.

— კაუივით ღვიძლი არ მჟირდება მე!

— ახლა ამას ჭიუა აქვს? — გადახედა ექიმმა ექთანს, — ხალხი ასეთ ღვიძლის ნატრობს, ეს კი მეპრანჭება კიდეც.

— აი, ეს რუმბივით გასიებული ღვიძლია, დღეს-ხვალ გასკდება, გინდა?

— დღეს-ხვალ გასასკდომი ღვიძლი რა ოხრად მინდა!

— ქალო, შენ არც ის გინდა, არც ის, ასე როგორ შეიძლება!

— მე ჩემი ღვიძლი მინდა, გესმით, ჩე-მი ღვიძლი!

— ეს ჩემი-შენი ვერ მოვაშლევინე ამ ხალცს! — გაბრაზდა ექიმი, — წავედი ახლა შესვენებაზე და მიხედე ამ ჭიუტ ავადმყოფს!

— მოითმინეთ, სად მიბრძანდებით? ჩემი ღვიძლის საქმე როგორ იქნება? — წინ გადაუდგა ავადმყოფი ექიმს.

— შენი ღვიძლის საქმეს მე მეკითხები, ქალო? — თავი გაითავისუფლა ექიმმა და კარი გაიჯახუნა.

— იცოდეთ, ჩემი ღვიძლი მიბორნეთ, თორებ ამ საქმეს ასე არ დავტოვებ! — დაემუქრა ავადმყოფი მარტოდ დარჩენილ ექთანას.

— თქვენც რას ჩააცივდით ამ ღვიძლს! წაიღეთ კუჭი, თირქელი, თორმეტგოგა ნაწლავი, მე შენ გეტყვი და, არა გვაქვს! აპა, რომელიც გნებავთ, ის ამოარჩიეთ!.. შეხედეთ, ამ თირქელში მიხელა ქვა დევს, სახლს აშენებს კაცი, ამის ხელიდან გაშვება შეიძლება?.. ინებეთ, ავადმყოფო სულთანიშვილო!

— მე სულთანიშვილი არა ვარ!

— ღმერთო ჩემი! რა მნიშვნელობა აქვს ამას!.. მაშინ კაშაურის კუჭი წაიღეთ, თრადგილისა გახვერტილი!

— კი მაგრამ, კაშაურს რაღას გაატანთ?

— დაინტერესდა უცებ ავადმყოფი.

— კაშაურმა შენი და ჩემი ჭირი წაიღო უცებ. იქაა, ვაკის სასაფლაოზე და სულთანიშვილის თირქმლის ქვა აღევს საფლავზე!.. ჰე, ჩერა, ახლა, თორმეტ შემომაზნა ეს შესვენება ხელში!.. აგრე თქვენი თორმეტგოგა ნაწლავი, ავადმყოფო დემეტრაშვილო, და წავედი!

— არა ვარ მე დემეტრაშვილი, არც კაშაური, არც სულთანიშვილი, არც ზარიძე და არც პააშვილი! — გაცეცხლდა ავადმყოფი.

— აბა, რა გვარი ხარ, ქალო?

— რა გვარი ვარ?.. რა გვარი ვარ? რა გვარი ვარ?

— უყურე ახლა ამას, თავისი გვარი არ ასოვს!

— ღმერთო, რა გვარი ვარ? — საფეოქლებს ისრესდა ავადმყოფი.

— ასეა, მოღიან აქ დიდი გულით და გამოიკვევა, რომ საკუთარი გვარი არ იციან, მიღი შენ და ექებე! — ჩაილაპარაკა უქმდუ-

ფილოდ ექთანდა და შესვენებაზე წავიდა.  
გიგა გახვილება!

მთავარი  
რედაქტორი  
ნოზარ დუმიშაბე

სარედაქციო  
კოლეგია:

ზ. ბოლქვაძე (პ/ზ. მდივანი),  
ს. კლდიაშვილი,  
ნ. მალაზონია,  
გ. ნიშნიანიძე (მთავ. რედ.  
მოადგილი),  
ნ. უვალებეგი,  
ო. ველიძე.

სატირისა და ისამონის  
ჟურნალი „ნიანგი“.

თბილისი, რესთაველი;  
არსებობი N 42.

თბილისი, სატირიკულის  
ტელ. რედაქტორის  
99-76-69, რედ. მოადგილის  
93-49-32.  
საერთო განყოფილების  
93-10-78.

სამ. კა ვა-ის გამოცვალობა. იზДАТЕЛЬСТВО  
ЦК КП ГРУЗИИ.

გადაეცა ასაზოგად  
11/V-71 ს.

ხელმოწერილია დასა-  
გადასახლი 7/V-71 ს.

კალალდის ზოგა

70X108 1/8.

ფილიური ნაგაზი ფურ-  
ცელი 1,  
სააღრიცხვო-საგამოცვა-  
ლო თაბაზი 1,4.

სამ. კა ვა-ის გამოცვა-  
ლობის სტანა,  
მაგილის, ლენინის ქ.  
№ 14.

ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА  
ЦК КП ГРУЗИИ  
ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИ-  
НА № 14

ვაკ. № 1822.

ფი. № 02058.


რიცხვი 132.250.



1971.


# СОВЕТСКИЙ ГЕРЗАЛЬПЛАН

## ШУВЬЕМШИИ ЗАКАЧАЧАГА



კალამ ფინიქსის (აშშ) მცხოვრებმა მისის ბეტი პენტროუსმა აღგილობრივ სასამართლოში უჩივლა ღმერთს, მეხოთ სახლი გადმინიჭაო.


სასამართლომ მამაუფალი დამნაშავედ სცნო და მომჩინის სასარგებლოდ 100 ათასი დოლარის გადახდა დააკისრა. გაკვირვებული რეპორტიორების შეკითხვაზე, თუ როგორ შეძლებდნენ ღმერთისაგან უულის მიღებას, მოსამართლემ უბასუხა: სულ ადვილად, — ჩვენ ამ თანხას გადავახდევინებთ ფიზიქსის ექლესის ხელისუფალთ, რომლებიც გაიძახიან, რომ ჩვენ ვართ მამაჯეციერის მოციქულები ამ ცოდვილ მიწაზე.



სენტ-ლუისი (აშშ) მოსწავლე ოთხას ტოდოროვიჩმა შარვლის უკანა ნაწილზე ამერიკის სახელმწიფო დროშა დაიკერა და სკოლაში გამოცხადდა. როცა მასწავლებელმა თხოვა, დროშა მოერწვია, თომასმა განუცხადა: არავის მივცემ ნებას, ჩემი მოქალაქეობრივი უფლებები შელახოს და როგორც მომესურვება, ისე გამოვეწყობით.



კალგარის (კანადა) ზოოპარკში მაიმუნებს გალიაში ტელევიზორი დაუდგენა. უნდა გენახათ მაიმუნების გატაცება, როდესაც კოგბორ ფილმებს აჩვენებდნენ... მათ სიხარულს საზღვარი ალა ჰქონდა.



**КОНТРОЛЬНЫЕ  
ЭКЗЕМПЛАРЫ**